საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1133
2025 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 07/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 100110000.22.027.016820) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2 წარმომადგენელი.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს საბჭოს წევრად სამსახურის საკოორდინაციო საბჭოს წარდგინებით ნიშნავს სამსახურის გენერალური დირექტორი.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს საბჭოს წევრის ფუნქციები.“;

დ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საბჭოს წევრი ინიშნება 1 წლის ვადით. საბჭოს რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრი ინიშნება საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.“.

2. მე-10 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობით საბჭოს მიმართავს მსჯავრდებული, მისი დამცველი ან კანონიერი წარმომადგენელი. შუამდგომლობას შესაძლებელია ახლდეს დამატებითი დოკუმენტაცია. მსჯავრდებულის დამცველის ან კანონიერი წარმომადგენელის შუამდგომლობისას საკითხის განხილვისათვის საბჭო გამოითხოვს მსჯავრდებულის თანხმობას.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების ამ წესის 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში იმავე საკითხზე შუამდგომლობა შესაძლებელია წარდგენილი იქნეს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებიდან 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება.“.

3. მე-11 მუხლს პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თუ მსჯავრდებულის, დამცველის/კანონიერ წარმომადგენელის მიერ წარმოდგენილია შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით – შინაპატიმრობით და/ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ, საბჭო საქმეს განიხილავს ერთ წარმოებად.“.

4. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ იღებს მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.“.

5. 22-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საბჭო მსჯავრდებულს წერილობითი გააცნობს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის/შინაპატიმრობის აღსრულების წესსა და მსჯავრდებულის მოვალეობებს (ამ წესის №2 და №3 დანართები).“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, გამოიცემა საბჭოს სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 1 თვისა.“.

6. წესის №2 და №3 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**